თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 8

ქ. თელავი 2019 წლის 24 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ზესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი დიმიტრი ზაქაიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N8 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ბინა არის ე.წ. ლეგიონის დასახლებაში არსებული ბინებიდან საბოლოო ბინა, რომლის გადაცემა უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრებაში, შემდგომში ამ ბინაში მცხოვრებლებზე გადასაცემად.

გ.ჩაბრაშვილი დაეთანხმა წინადადებას და გამოთქვა მოსაზრება აღნიშნული პროექტის საკრებულოს ბიუროზე განხილვის შესახებ.

გ.ჩაბრაშვილის მოსაზრებას დაეთანხნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N8 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა, რომ მერიის მიერ დარეგისტრირებულია უძრავი ქონება - მიწა 23 კვ.მ. ფართით, როგორც საკარმიდამო მიწა. ამ კატეგორიით მოხდენილი რეგისტრაცია არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513 მოთხოვნას. ამასთან ერთად საჯარო რეესტრის რუქაზე სჩანს, რომ ეს მონაკვეთი არის ერთზე მეტი მოსარგებლისთვის არსებული საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზა, ანუ ქუჩა, რომელიც არის მუნიციპალური უძრავი

ქონების განუყოფელი ნაწილი, აღნიშნულიდან გამომდინარე გასაუქმებელია ქონების რეგისტრაცია და ქონება ამოღებული უნდა იქნეს საპრივატიზაციო ნუსხიდან.

დიმიტრი ზაქაიძე არ დაეთანხმა ზ. ენუქიძის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ საკითხი დგას ქონების საპრივატიზაციო ფასის გაზრდასთან დაკავშირებით, ხოლო ქონება სწორადაა რეგისტრირებული.

გიგა ორკოდაშვილმა აღნიშნა,რომ საკითხი უნდა გადაწყდეს კანონის სრული დაცვით და ასევე გათვალისწინებული იქნას მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესები, რისთვისაც საკითხის დამატებით შესწავლის მიზნით მერიამ წარმოადგინოს მომიჯნავე მესაკუთრება თანხმობა და საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი იქნას ტექ.ბიუროს არქივში არსებული ე.ახვლედიანის ქუჩა N39,39ა და 41 საცხოვრებელი სახლების არსებული დოკუმენტაცია.

გ. ორკოდაშვილის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N8 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე იქნას დამატებით შესწავლილი.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი